საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N714 2026 წლის 7 აპრილი ქ. თბილისი

გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 10 მარტის №509 განკარგულების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ 2026 წლის 26 მარტს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 8 234 552 (რვა მილიონ ორას ოცდათოთხმეტი ათას ხუთას ორმოცდათორმეტი) ლარი, მათ შორის:

1.1. საჩხერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 148 333 (ას ორმოცდარვა ათას სამას ოცდაცამეტი) ლარისა, დანართ №1-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.2. დუშეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 445 219 (ოთხას ორმოცდახუთი ათას ორას ცხრამეტი) ლარისა, დანართ №2-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.3. ონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 505 000 (ხუთას ხუთი ათასი) ლარისა, დანართ №3-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 655 000 (ერთი მილიონ ექვსას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა, დანართ №4-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.5. მესტიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 634 000 (ექვსას ოცდათოთხმეტი ათასი) ლარისა, დანართი №5-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.6. გორის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 410 000 (ორი მილიონ ოთხას ათი ათასი) ლარისა, დანართ №6-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.7. კასპის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 637 000 (ექვსას ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარისა, დანართ №7-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.8. ქარელის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 236 000 (ერთი მილიონ ორას ოცდათექვსმეტი ათასი) ლარისა, დანართ №8-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.9. ხაშურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 564 000 (ხუთას სამოცდაოთხი ათასი) ლარისა, დანართ №9-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა მუნიციპალიტეტ(ებ)მა უზრუნველყონ ამავე განკარგულების დანართებით გათვალისწინებული პროექტების თანადაფინანსებისათვის შესაბამისი სახსრების კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინება შესაბამისი მუნიციპალიტეტ(ებ)ის ბიუჯეტ(ებ)ში, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 3[1] მუხლის შესაბამისად.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამ განკარგულების საფუძველზე, თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

ონის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფელ ნედისის მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (ასფალტო-ბეტონის საფარი) II ეტაპი	215 250	205 000
2	სოფელ გომის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაო (ცემენტ-ბეტონის საფარი) IV ეტაპი	315 000	300 000
სულ ჯამი		530 250	505 000